



საგარეჯოს მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №15(197) 2019 წ. 1-15 აგვისტო ფასი 1 ლარი

გმირების ბასასენებლად



7 აგვისტოს, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა გმირების ხსოვნის პატივსაცემად, **კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ირაკლი შიოშვილი** და **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ალექსი ბილაშვილი** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად ქ. საგარეჯოში არსებული გმირთა მემორიალი თაიგულებით შეამკეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ომში გმირულად დაღუპულთა სულებს.

აღექსი გილაშვილი სოფელ მარიამჯვარში და დიდ ჩაილურში, აგვისტოს ომში გარდაცვლილი გმირების – **რეზა მამისაშვილის** და მე-4 ბრიგადის საარტილერიო დივიზიის შტაბის უფროსის, კაპიტნის – **ბიორბი პირაკოშაშვილის** საფლავები მოინახულა და მათი ხსოვნის პატივსაცემად თაიგულებით შეამკო. გმირთა ოჯახების წევრებს-კი ფულადი დახმარება გადამცა.



ვილოხვა

11, 12 და 13 აგვისტოს, საქართველოში მცხოვრები მუსლიმები, ყურბან-ბაირამის დღესასწაულს აღნიშნავენ.

მე მინდა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა მუსლიმს, ჩემს მოძმე ახერბაიჯანელებს მივულოცო დღევანდელი დღე. ვუსურვო მხნეობა და მუდმივი თანადგომის განცდა თანამემამულეების მიმართ! ჩვენ ერთი ქვეყნის და ერთი რაიონის შეილები ვართ, რომლებსაც ერთი სახელმწიფო ენა და მეგობრობა გვაერთიანებს!

*ბიორბი პირაკოშაშვილი -
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი*



**ქეთი
ბრატიაშვილი**
საგარეჯოს
მუნიციპალიტეტის
პრესსამსახური

მუნიციპალური ბიურო

საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის მუშაობის ტრადიციულ თაობის ამავე მუნიციპალიტეტის მერი ბიორბი მარაგონაშვილი უძღვებოდა. მან სოფლებში მიმდინარე პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტის განხორციელების მდგომარეობა გამოიკითხა. ასევე, საუბარი შეეხო მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებას და დასვა საკითხი იმ სოფლების მოსახლეობისათვის ავტოციკლირებით მიწოდებისათვის წყალი, რომლებიც წყლის დეფიციტს ვეღვათაზე მეტად განიცდიან.

13 აგვისტო, 2019 წელი

თათბირის მონაწილე მუნიციპალიტეტის მერმა საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციისა და შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მერის წარმომადგენლებთან საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების ახლადდანიშნული უფროსი **ვანია (ივანე) ფანოზიშვილი** წარუდგინა.



საგარეო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფართო სექტორითა და შიდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარება, როგორცაა ქალაქის ქუჩების, სოფლების გზების, სასმელი წყლის მაგისტრალების, წყლის სათავე ნაკვეთების, გარე განათების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, საჯარო სკოლების, სპორტული მოედნების, სოფლის საექიმო ამბულატორიების შეკეთება-რეაბილიტაცია-მშენებლობა.

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით

ქუჩები

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით რეაბილიტაცია გაუქმდა ქ. საგარეოში არსებულ მარჯანიშვილის (შესრულებული სამუშაოების საერთო ღირებულება 263360 ლარი), სარაჯიშვილის (209160 ლარი) ქუჩებს, „თვალ-წინდავითის“ სამლოცველომდე მისასვლელ - სათავეს ქუჩას (307793 ლარი), ჯერჯერობით 70%-ითაა შესრულებული სოფელ მანავში ე.წ. „ტურის უბნის“ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (შესრულებული სამუშაოების საერთო ღირებულება 632260 ლარი); 15 %-ითაა შესრულებული (სამუშაოების დაწყების თარიღი იყო მაისი, ხოლო დასრულებისა - 30 ივლისი, სამუშაოების საგარეო ღირებულება 759610 ლარი) სოფელ ხაშში შიდა საავტომობილო გზის მოასფალტება და საჯარო სკოლისკენ მიმავალ გზაზე ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები. რაც შეეხება ქ. საგარეოში არსებული თამარ მეფის ქუჩის ქვაფენილის რეაბილიტაციას, რომლის სამუშაოების საგარეო ღირებულება 917481 ლარია და 26 ივნისს უნდა დაწყებულიყო და დამთავრების ვადად 27 სექტემბერია ხელშეკრულების მიხედვით, 15 ივლისისათვის ჯერჯერობით არ იყო სამუშაოები სამშენებლო ორგანიზაცია ამხანაგობა „ენკა“-ს მიერ დაწყებული, თუმცა 31 ივლისს უკვე დაიწყო.

ასევე, შერჩევა-შეფასების პროცესშია საგარეოში ქუჩის ქუჩის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრამდე მისასვლელი გზის (250160 ლარი) და ქ. საგარეოში რუსთაველის ქუჩაზე ე.წ. „წიფლის ხეის“ მიმდებარე გზის (390850ლ) მოსასვლელზე სასამართლოების შემსრულებელი სამშენებლო ორგანიზაცია.

სკოლები

ახალი 2019-2020 სასწავლო წლისათვის ჩვენი მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლის შენობა განახლებული სახით გაუღებს კარებს მოსწავლეებს. ეს სკოლებია:

- 1) **საბარეო I საჯარო სკოლა**, სადაც 664 მოსწავლეა მოხდება სველი წერტილების მოწყობა, რისთვისაც შესრულდება 50000 ლარის სამუშაოები;
- 2) **ბიორბი მარაგონაშვილის საჯარო სკოლა**, აქ 244 მოსწავლეა. აქაც სველი წერტილების მოსაწყობად



„ინფრასტრუქტურა-2019“



რიგებლად 40000 ლარია გამოყოფილი;

- 3) **სოფელ ბიორბი მარაგონაშვილის (103 მოსწავლე)** სველი წერტილების, იატაკის, კედლების, ჭერის მოსაწესრიგებლად 80 ათასი ლარია გამოყოფილი;
- 4) **მანავის საჯარო სკოლის (379 მოსწავლე)** სველი წერტილების მოსაწესრიგებლად 80 000 ლარის სამუშაოები შესრულდება.

ხუმთ ჩამოთვლილ ოთხივე საჯარო სკოლაში აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის 9 სექტემბრისათვის უნდა დასრულდეს. შენობის სამშენებლო ორგანიზაციასთან უკვე გაფორმდა სათანადო ხელშეკრულებები და 9 ივლისიდან მიმდინარეობს სამუშაოები:

- 1) **სოფელ ხაშში საჯარო სკოლის (153 მოსწავლე)** სველი წერტილებისა და ელექტროგაყვანილობის მოსაწყობებლად (45000 ლარი);
 - 2) **სოფელ უზანის საჯარო სკოლის (52 მოსწავლე)** სველი წერტილებისა და გათბობის სისტემის მოსაწყობებლად (45000 ლარი);
 - ჯერჯერობით ტენდერები უარყოფითი შედეგებით დამთავრდა (15 ივლისის მონაცემებით):
 - 1) **სოფელ თოხლიანის საჯარო სკოლის (113 მოსწავლე)** სველი წერტილების მოსაწყობად და სკოლის ეზოს შემოსაღობად (50000 ლარი);
 - 2) **სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის (210 მოსწავლე)** შენობაში ელექტროგაყვანილობისა და სველი წერტილების მოსაწყობად (55 000 ლარი);
 - 3) **უზანის საჯარო სკოლაში (113 მოსწავლე)**, ასევე ელექტროგაყვანილობისა და სველი წერტილების მოსაწყობად (50 000 ლარი);
 - 4) **სოფელ მანავის საჯარო სკოლის (162 მოსწავლე)** სველი წერტილების, ელექტროგაყვანილობის, გათბობის სისტემის მოსაწყობად და ავარიული ფლიგელის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 95000 ლარი;
 - 5) **სოფელ ფარსეთის საჯარო სკოლის (68 მოსწავლე)** სველი წერტილების მოსაწყობად გამოყოფილია 45000 ლარი;
- რაც შეეხება სოფელ პატარა ჩაიშის საჯარო სკოლას - სველი წერტილების მოსაწყობად გამოყოფილია 95000 ლარი, მაგრამ ჯერჯერობით აქ პროექტი გადის მონიტორინგში ექსპერტიზის (მიმდინარეობს პროექტში არსებული ხარვეზების გამოსწორება).

სამედიო

ამბულატორიები

საბარეოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის განკარგულებით (№554) მოსახლეობის ჯანდაცვის ხელშეწყობისა და სოფლების ამბულატორიების მომსახურების გასაუმჯობესებლად გარკვეული თანხები გამოიყო ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსე-

ბული 8 ერთეული საექიმო ამბულატორიის სარეაბილიტაციოდ. ხოლო ერთის - ახლიდან ასაშენებლად. მოგესვენებათ, საექიმო ამბულატორიების უმრავლესობა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდანაა აშენებული, რომლებიც უკვე რეაბილიტაციაზე აღარ ექვემდებარება. ამ საექიმო ამბულატორიების სარეაბილიტაციოდ და ერთის ასაშენებლად გამოიყო 153415 ლარი, საიდანაც დაფინანსდება:

- ბიორბის** საექიმო ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ემსახურება გომბორის, ასკილაურის, გორანას, ვაშლიანის, ვერინის, იკვლე გორანის მოსახლეობას. აქ ჩატარდება კოსმეტოლოგიური რემონტი, გამოყოფილია 9760 ლარი;
- ბიორბიწმინდის** ამბულატორიის, რომელიც ემსახურება გორგიწმინდის, მარიაშვილის, ანთოკის, ქვემო სამგორის დასახლების მოსახლეობას ჩატარდება კოსმეტოლოგიური რემონტი, მოეწყობა საკანალიზაციო სისტემა, რაც 9751 ლარი დაჯდება; მოხდება პერიმეტრის შემოღობვა.

სოფელ უზანის - 5907 ლარით ჩატარდება კოსმეტოლოგიური რემონტი და შემოღობვა პერიმეტრით;

სოფელ პატარა მუხრანის საოჯახო მედიცინის ცენტრში ჩატარდება შიდა სარემონტო სამუშაოები, სახურავის რეაბილიტაცია

სოფელ ხაშში ამბულატორიის ჩატარდება შიდა სარემონტო სამუშაოები, მოეწყობა კანალიზაციისა და წყალმომარაგების სისტემა - 36822 ლარი;

სოფელ მანავის ამბულატორიის სახურავის რეაბილიტაცია, მოეწყობა სველი წერტილები - 9789 ლარი;

ბიორბიწმინდის - 53115 ლარის (ეს უკანასკნელი ახლიდან აშენდება).

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების რიცხვი 1 ივლისისათვის 44-ს აჭარბებს.

აღნიშნული პროექტების განხორციელებით მოწყობილია სასმელი წყლის მოსახლეობისათვის მიწოდება, კეთილმოწყობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ინფრასტრუქტურა, შეკეთდება სტიქიით დაზარალებული სახლები, მოწესრიგდება გზები, სოფლის სპორტული ინფრასტრუქტურა, მოეწყობა ქუჩების გარეგანაობა.

მოწესრიგდება სასმელი წყლის სისტემა; სოფლებში



ბაღდაურში, ყანდაურში, ზემო ყანდაურში, კოკბანში, მზისგულში, მარიაშვილში, თოხლიანში, დუზაგრამასი, ლამბალოში, გორგიწმინდაში შესაბამისად წყლის რეზერვუარების და შიდა ქსელის მოწყობა, რეზერვუარების რეაბილიტაცია, დაზიანებული სასმელი მაგისტრალიდან მიღების ამოცვლა, სასმელი წყლის დაზიანებული ტუმბოების ამოცვლა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სოფლებში:

- გომბორში - შიდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;
- ქ. საგარეოს №1-სარეაბილიტაციო;
- ქ. საგარეოს №3-ის დაზიანებული სახურავის შეკეთება;

პატარა მუხრანის №1 და №2-სარემონტო-სამშენებლო -სარეაბილიტაციო;

პატარა ჩაიშის, ხაშში, ნინოწმინდის- შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

წყაროსთვის - შიდა სამშენებლო -სარეაბილიტაციო;

საგარეოს №6-ის შენობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

კაკაბეთის №2 ბაღის შენობის სრული რეაბილიტაცია;

საგარეოს №4-ის აღსაზრდელებისათვის დამატებით ერთი ოთახის მოწყობა;

უჯარმის შენობის სრული რეაბილიტაცია

ბუჯი

ქალაქ საგარეოში, საგარეოს მუნიციპალიტეტის თემებსა და მასში შემავალ სოფლებში:

შობლიანში, მზისგულში, ბაღდაურში, ყანდაურში, ვერხვიანში, კაკაბეთში, პატარა ჩაიშურში, დიდ ჩაიშურში, მანავში, თოხლიანში, ნინოწმინდაში, გორგიწმინდაში, წყაროსთვის, პატარა მუხრანსა და ხაშში დაზიანებული გზების მონაკვეთების აღდგენა, მოხრეშვა-მონადეგება.

სოფელ უზანში შიდა საავტომობილო გზის მოასფალტება.

ქალაქ **საბარეოში** ჯაფარიძის ქუჩის ტროტუარის მოწყობა.

ქალაქ **საბარეოში** იმედის ქუჩაზე არსებული მრავალბინიანი სახლის ეზოს მოასფალტება.

კეთილმოწყობა

ქალაქ საგარეოში ელექტრონული საათის მოწყობა.

სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის სახლების სახურავების შეკეთება-რეაბილიტაცია სოფლებში: უდაბნოში, ხაშში, პატარა მუხრანში, კოკბანში, ქალაქ საგარეოში.

სარეაბილიტაციო მუშაოების მოწყობა

სოფელ უჯარმში

სპორტული ინფრასტრუქტურა

სოფელ გომბორში ახალი საწილი დარბაზის მოწყობა.

სოფელ ბაღდაურში ახალი სპორტ-დარბაზის მოწყობა.

ქალაქ საგარეოში ე.წ. „საავადმყოფოსთან“ მიმდებარე არსებული მრავალბინიანი საერთო საცხოვრებლის მინი სტადიონის რეაბილიტაცია.

რეაბილიტაცია

ქალაქ **საბარეოში** იმედის ქუჩაზე მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელი ბინების სახურავის შეკეთება.

ქ. **საბარეოში**, რუსთაველისა და ერისთავის ქუჩების გადაკვეთაზე დაზიანებული ცხარე-ცივი წყლის მიწოდების სისტემის შეკეთება.

ბაგი მანათი

სოფელ უჯარმში

- მარიაშვილი, ვერხვიანი, ყანდაურა, პატარა მუხრანში ე.წ. აჭარბების უბანი, ჩიხლანთ უბანი, შიოს უბანი, შობლიანი,
- თულარში, ლამბალოში, იორმულანდოსა და დუზაგრამაში გარე განათება ცენტრალურ საავტომობილო გზაზე გაკეთდება.
- ქ. **საბარეოში**: ერისთავის ქუჩაზე წიფლისხევის მიმდებარე მარჯანიშვილის, რუსთაველის, აღმაშენებლის ქუჩებზე კი მოხდება არსებული სანათების ამოცვლა „LED-150W“-ით

ქვემოქმედება

„მადლი ჰქენი“... ნაპროკალი, რომელიც სახლში იმედის სხივს უშვებს



21 ივლისს ანთოკში, დეთისიაშვილი ნუნუს სახლში, უფრო სწორად, ცხონებული „ბალამას“ (გიორგი ჯავახიშვილის) ეზოში ანთოკელებმა მოიყარეს თავი. ზოგიერთს არც კი სჯეროდა – ექიმი უფასოდ გასინჯავდა, თანაც პროფესორი, სამკურნალო ცენტრის დირექტორი და თანაც შესაბამის მედიკამენტებსაც აწუქებდათ... მაგრამ... ეს რეალობა აღმოჩნდა...

თბილისელი ექიმი თერაპევტი, პროფესორ ნოდარ გრიგოლიას სახელობის კერძო შპს „კომპლემენტარული სადიაცინოტიკი და სამკურნალო ცენტრის“ დირექტორი, პროფესორი **ნუნუ სამაღაშვილი** ანთოკის მოსახლეობას ესტუმრა.

მასთან ერთად სდასუს სამედიცინო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, ექიმის „ასისტენტის“ ამპლუაში ბექა მაქაძე, რომლის ოჯახს ანთოკში დასახლებული აგარაკი აქვს.

ქნი ნუნუ გულდასმით უსმენს თითოეულ პაციენტს, ადამიანებს, რომელთაც ნამდვილად არ აქვთ საშუალება გიორგიშვილის საექიმო ამბულატორიის ან საგარეჯოს „ჯეოპოსიტივალის“ მომსახურებით ისარგებლონ – უტრანსპორტობის და უფულობის გამო.

– ძალიან მტკივა გული, როცა ასეთ ადამიანებს ვხვდები, – **მეუბნება ქნი ნუნუ**, – ნამდვილად ჩვენს მოსახლეობაში არის ფენა ადამიანების, რომელთაც არ შეუძლიათ მიმართონ ექიმს და მის მიერ გამოწერილი წამლის შექმნის საშუალებაც არ აქვთ. 1993 წლიდან აქტიურად ვმოღვაწეობ გერმანიაში, ავსტრიაში, თურქეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, ამასთან ერთად საქველმოქმედო სამედიცინო აქციებით მაქვს ჩატარებული აჭარაში, ახალციხეში, ქართლში – ლტოლვილთა განსახლებაში – წეროვანში, ფეხაშში, სამტრედიასში, ბათუმში, სადაც ჩემმა მეუღლემ თავის სიცოცხლეში 8 ქირურგიული ოპერაციაც კი ჩაატარა.

ერთი კვირის განმავლობაში ბათუმში 300 ადამიანი გაეხინჯა. რა არის, იცით? როცა პიპოკრატეს ფიცი გაქვს ექიმს დადებული, ეს მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, მხოლოდ საექიმო კაბინეტში მიიღო პაციენტი. რამდენი ადამიანი გაჭირვებული, ხოდა, სწორედ მაშინ ვგრძობოთ თავს ბედნიერად, როცა გაჭირვებულ ადამიანს უანგაროდ ვახმარ ჩემს პროფესიულ გამოცდილებას, მდგომარეობას ვუმსუბუქებ, როცა მედიკამენტით ვეხმარები და მის თვალებში სიხარულის სიხვევს ვხედავ.

ჩემი ორივე შვილი ექიმია. ერთი საქართველოში მოღვაწეობს, დეკანის მოადგილეა, ქირურგი, მეორე – გოგი გრიგოლია მიუნხენში მოღვაწეობს, მიუნხენის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია. გოგომ ასეულობით ქართველ სტუდენტს საშუალება მისცა პროფესიული ცოდნა გერმანიაში აემადლებინა. ამიტომაც გადაეცა მას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელი მიუნხენში ჩემი ქვეყნის მინისტრის ყოფინას. გოგი გერმანიაში მყოფ საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილსაც შეხვდა და ესაუბრა იმ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც გერმანიაში სწავლობენ, იმაღლებენ პროფესიულ დონეს.

გოგი 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაჭრილი ქართველი მეომრების გამოჯანმრთელების, რეაბილიტაციის პროცესებში აქტიურად იყო ჩამოხვეტილი გერმანიის სხვადასხვა კლინიკებში დაჭრილთა მკურნალობისას.

მეც და ჩემი შვილებიც ყოველთვის ვცდილობთ გავაგრძელოთ ჩემი მეუღლის ნოდარ გრიგოლიას ცხოვრების წესი – უანგაროდ მოვემსახუროთ ჩვენს მოსახლეობას, მოვაწყოთ აქციები თავისუფალ დროს და გაჭირვებულ ადამიანებს მივცეთ იმედი და რწმენა იმისა, რომ ექიმმაც შეიძლება გაიღოს თავისი წვლილი თითოეული ადამიანის გამოჯანმრთელებისათვის. მე ანთოკის მოსახლეობას არ ვიცნობ, აქ ჩემი მეგობრის, ხელოვანია ანთაშვილის დედულეთია. ღიას აქ პატარა, ლამაზი სახლი აქვს, სადაც „ზაფხულობით“ სტუმრობს. იცის თავისი სოფლის მოსახლეობის გასაჭირი და როცა გავივარ, მათ ფეხით უხდებთ მეორე სოფლის საექიმო ამბულატორიაში ორი კილომეტრის გავლა – ხევის გავლით და უფრო მეტი მანძილის – „ჯეოპოსიტივალამდე“, ერთი წუთით არ დაფიქრებულვარ, მაშინვე მათთან წამოვედი. დღეს თქვენც ხედავთ, რამდენი და როგორი პაციენტები არიან. ყველას სერიოზული მკურნალობა სჭირდება. მე მათ ჩემს მიერ ჩამო-

ტანილ გერმანული წარმოების მედიკამენტებს დავეუბრებ და შემდეგ კიდევ მივაწვდი.

დღეს გიორგიშვილის დეთისიაშვილის სახელობის კელესიის მოძღვარს მღვდელ გიორგი პავლოვს უნდა შევუთანხმდე, მინდა ამ კელესიის მრევლს გაეუწიო სამედიცინო მომსახურება. სომ იცით, კელესიაში ყველაზე გაჭირვებული ადამიანები დადიან. მათაც მინდა სიხარული მივანიჭო და რაღაც დახმარება აღმოუჩინო...

საუბარს ამთავრებს და 10 წლის გიორგის უბრუნდება. პედიატრი არ ვარ, მაგრამ, გიორგი, იქნებ რამე გავარკვიო. გარკვევით ვაარკვიე, გიორგიც დამშვიდდა და მამიდამისიც. ახლა მამიდამისმა „გადმოაწყო“ ჩივილები, მასაც დაესვა დიაგნოზი. ერთმანეთს ენაცვლებიან ანთოკელები და იმედიანი, გაცისკროვნებული თვალებით შესცქერიან სახენაოვლ, გულკეთილ და ხელებდალოცვილ ექიმს.

დაბლა ეზოში ჩამოსხდარან თავიანთი საფიქრალით. სახლის დასახლის **ნუნუ ღვთისიაშვილს** გავესაუბრე.

– 40 წელია აქ ვცხოვრობ. თელავიდან გამოვთხოვდი. კარგი ქმარი მყავდა – „ბალამას“ ეახსენენ. მშრომელი იყო, შვილი არ გვეყოლა. ლამაზი სოფელია, თითქოს ახლოს არის გიორგიშვილსთან, მაგრამ თუ ადრე გვეხალისებოდა ფეხით სიარული, ახლა უკვე ძნელი ხევა გადასვლა. საავადმყოფოშიც ვეღარ მივდივარ. მე მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ. ორი წლის წინ სოციალური დახმარება მომიხსნეს. ეზოში შემოვიდა სოც-მუშაკი, მიხედა-მოხედა, ორმოციოდ ქათამი წვითა და დაგვიტოვა გავზარდა და შეიცხადა, ამდენი ქათამი გყოლია, რა დახმარება გინდაო. რა ვიცი, ზოგის ეზოში ჯიპი დგას და მაინც დახმარება აქვთ. პოდა, თვალის ეცა თუ რა ჩემს ქათამებს და ერთ კვირაში შეიდიდა დამრჩა. აგერ ხუთიოდე ქათამი დაფარვანტებს ჩემს ეზოში. პენსია ჩემი რევერტიზმისა და წნეების წამლებს არ ჰყოფნის. სხვა შემოსავალი არ მაქვს... ღმერთი გაახარებს ნუნუ ექიმს – გამხსნჯავს და წამლებსაც დამიტოვებს, კიდევაც მოგაკითხავთ და მოციკითხვით შემდეგში წამლებით, გვიპირდება...



ნუნუ ღვთისიაშვილი (მეორე რიგში, მესამე ადგილიდან) და მისი ოჯახის წევრები.



თამარ ააპუნაშვილი 72 წლისაა, თავადაც ავადმყოფი 60 წლის ინვალიდ – გონებანაშორ-ჩენილ ძმას უვლის. ორივეს მოუხსნეს სოციალური დახმარება. ძმას მხოლოდ 40 ლარი დაუტოვეს.

ლილა ნარეკლიშვილი სამი შვილის და შვილიშვილების პარტრონია. აქ დაბადებულ-გაზრდილები არიან თამარიც, ლეილაც და მისი ინვალიდი ძმაც. რაღაცნაირად ეხილებიან ერთმანეთს, რაც შეუძლიათ და როგორც შეუძლიათ. იმედის ნაპერწკალი აქვთ თვალებში – ექიმი ყურადღებიანი, თბილი, უანგარო ქალბატონია, რაც, როგორც სიკ-

ეთის სხივი, მათთვის ბოლო 30 წლის განმავლობაში არ ყოფილა.

ლიზა ხუბაშვილი ბოჭორმიდან გამოთხოვდა 40 წლის წინ. აქ დედამთილ-მამამთილი ცხოვრობდა, თვითონ საგარეჯოს რკინიგზის სადგურის დასახლებაში ცხოვრობდნენ. 10 წელია მისმა მეუღლემ თამაზ ჯავახიშვილმა მანამაპყველ კერაზე ცვეხლი აანთო – საქონელი გაიხინა და უვლის. – ჩემი ოჯახის წევრებმა 7 ოპერაცია გავიკეთეთ, ჩვენ რომ საქონელი არ გვეყოლოდა, ვერც ერთი გადავინებოდით. ოპერაციისთვის თანხებით მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოლანიშვილიც დაგვეხმარა, ნამდვილი გულისხმიერება გამოიჩინა, მადლობელი ვარ, ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, – **მეუბნება ქნი ლიზა**, – ახლა ქალბატონ ნუნუსთან მოვედი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად.

მათ რიცხვს ემატებიან ანთოკელები, ჩუმად საუბრობენ, ნუნუ ექიმთან შეხვედრას მოუთმენლად ვლიან. ნუნუ ექიმი კი სითბოთი და ყურადღებით უსმენს, სინჯავს, არიგებთ და შესაბამის წამლებს ჩუქნით ანთოკელებს, მაგრამ მჯერა, რომ ამ წამლებთან ერთად უფრო მეტი, უფრო ძვირფასი და უფრო დიდი მათ თავიანთი სახლებში ადამიანური სითბოს, მზრუნველობის, ადამიანურობის, თანადგომის და სიკეთის კეთების ნაპერწკალი მიაქვთ ნუნუ ექიმისგან...

თინა ილაური

ამაბლარნი

გულის და სულის მალაქო

ოცნაში საუკუნის კელესია-მონასტრების კედლებს იისფერი შეეპარათ. თითქოს მიიკარგა სინჯურისფერი, ხელიისფერი, სოხბოსყვლისფერი ფერები მათ სვეტებსა და ქვათაწყობაში. რატომ?! უკეთესი ადამიანებს – რატომ იმძლავრა იისფერმაო?

ერთ ჰეკიანს უთქვამს (გვარი არ მახსენდება): კელესია-მონასტრებს ფერი ადამიანების უსოვერულობამ, ადამიანებში ერმანეთის მიმართ სითბოს გამოვლინებამ და გამოხედვამ შეუცნაურა – იისფერი გახდაო. იის ფერი კი დედის ცრემლისფერშიღებულაო. არ ვიცი... გერაფრის მტკიცებამ შეიძლება ჩვენი გაზუთის ჩვენი ძვირფასო მეთხველო, მაგრამ ძალიან გამიხარდა, როცა ერთი საგარეჯოელი ქალბატონის მეზობლებმა სხვადასხვა დროს რედაქციის კარებში გადამეხველი, თბილი სახეებით შემოხსნეს (ეს უკვე მერამდღვე წყლია) და ისეთი სითბო შემოიტანეს (მიუხედავად ივლისის ცხელი ზაფხულის სიცხისა), სულს რომ გაუთბობს ადამიანს, იმ წლებს იმ დროით გაახსენებს კაცს სულ 30-იდე წლის წინ რომ გამოვხატავდი ერთმანეთის მიმართ.

ქნი კი, რომელსაც ბოლო რამდენიმე წელს დაბადების დღეს ულოცავდნენ მეზობლები, საგარეჯოელია. სადაც კი მუშაობდა – კავშირგაბმულობის რაიონულ განყოფილებაში თუ საგარეჯოს №5 საბავშვო ბაღში მუშაობდა, ყველგან სიყვარულს, სიკეთეს თესდა. თითოეული თანამშრომელის სული და გული იყო. ვინ იცის, რამდენი აღსაზრდელის გულის მალაქო იყო საბავშვო ბაღში მუშაობისას. საბავშვო ბაღის დირექტორს თანამშრომლებთან ერთად ღირსეულ ჯილდოებს იღებდა ულადად მუშაობისათვის. და დღეს უცვლელად გთავაზობთ მეზობლებსაგან შემონატანილ მისალოდ ბარათს. და კიდევ, მიხარია, ენერგიით მავსებს და მიხალისებს დღევანდელ სულს, როცა ადამიანები ერთმანეთის მიმართ კეთილ, სიყვარულით სავსე სიტყვებს არ იშურებენ. ალბათ თქვენც ასე ხართ?

ჩემს მეგობარს, ჩემს მეზობელს, ჩემს სულსა და გულს ზაირა უსულადიშვილს! მინდა მოგილოცო დაბადების დღე. ეს დღისსახსოვარი დღე, თუმცა არ ვაკონკრეტებ ციფრს, რადგან ქალი იმდენი წლისაა, როგორც გამოიყურება. და შენც იმდენი წლის ხარ, რო-

გორც გამოიყურები ჩემო სიხარული და სიყვარული.

ქალის მომხიბლაობა, მისი სრულფასოვანი აღწერა, მისი შესამკობელი ეპითეტები, ძნელი მოსაგონებელია, მაგრამ შენ უნდა გნახავს, ადრე გაუჭირდება, ადვილად მიხედება, თუ როგორი უნდა იყოს ლამაზი ქალი.

ჩემო ზაირა! ფიზიკური სინაზე მომხიბლაობას ემატებ, ასე ლამაზად იარე დიდხანს.

როცა ძალიან მენატრები და ეს ბევრჯერ ხდება, ჩემი წამალია გაზეთ „გარეჯოს მაცნეში“ დაბეჭდილი შენი მოსაგონარი წერილი მაშის მიმართ, რამდენჯერაც არ უნდა გადავიკითხო, გულწრფელი ცრემლის გარეშე არ გამომდის, ჩემი გრძობებით სავსე მეგობარო. დღეს ნამდვილად არ მინდა სენტემენტალური საუბარი, მაგრამ მაინც ვიტყვი: „აბლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვა“. კარგი და კეთილი არ მოგიშალოთ შენ და შენს საყვარელ ხალხს, კარგად გვაედეს ისინი, ვინც შენ ასე გახარებენ და შორს დაგიკვივით ობლის მწარე მოგონებები, თურმე რამდენ ტკივილს ატარებდი შენ პატარა გოგონა და ჩემი საყვარელი მარგო დეიდა, გაანათლოს მისი ლამაზი და სპეტაკი სული უფაღმა. იქნებ ობლის კვერის ცხობასთან აქვს საერთო იმ ლამაზ გრძობებს თუ ახალგაზრდულ გატაცებას, რომელმაც არ გაამართლა. ამ გადმოსახვიდან ფერიქობ, რომ შენ ცხოვრება გამხადებდა პატარა ლამაზ ობ-

ლის კვერის გამოსაცხობად, რომელიც უადრესად კარგ ახალგაზრდად, ნამდვილ კაცურ კაცად აღზარდა. ბარაკალა შენს ქალობას და მადლი შენს სულმანა დედას, რომელიც გვერდით ვედგა და გიმსუბუქებდა მძიმედ სატარებელ ჯვარს და შედეგად არ დააგვიანა. გვაეს უადრესად მადლიერი, ერთმანეთის პატივისმცემელი და დამფასებელი შვილი. დიდი ხნის სიცოცხლეს და ჩაუქრობელ სიყვარულს გისურვებთ, ჩემო ლამაზო და ტკბილო დაიკო.

ჩემო ზაირა! შენ ხარ სიყვარულით სავსე ადამიანი. ასე მგონია, ქვეყანაზე რომ არ ყოფილიყო სიყვარულის გრძობა, ამას შენ გამოიგონებდი და დიდი დროით ყველას უწილადებდი, რათა მცირედენი ნაწილი მათ მიერ გამოხარო, შენთვისაც დაებრუნებინათ, თუ არა და უხეშობას მაინც ნუ შეამჩნევდნენ საუბრის ტონში. ასე მგონია დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა ეს ლექსი შენ მოგიძღვნა:

„ცაზე მზეა, ქვეყანაზე შენა ხარ, შეცვლით ძირს ჩამოსული ზენა ხარ, მაქრის გულო, ბუღბუღისა ენა ხარ, სიხარული შენი ცრემლის დენა ხარ“.

გილოცავ. დიდხანს იცოცხლე, იჯანმრთელე, გაიხარე და გავგახარე, გაოცნი, გუყვარებო. შენი ნელი ნინოშვილი

მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!
ნელი ნინოშვილი

მუნიციპალური გვერდი

სამსახური, როელიც მოვალეობას პირნათლად ასრულებს



საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს დიდმნიშვნელოვანი როლი აკისრია წვენი რაიონისა და ამით მთლიანად ქვეყნის ნათელი მომავლის ჩამოყალიბება-შექმნის საქმეში. უკვე მესამე წელი დაიწყო, რაც ამ სამსახურს სათავეში უდგას საგარეოში კარგად ცნობილი და დაფასებული პიროვნება - ბატონი არჩილ ჯაბაძარი, რომლის მიერ შეგნებული ცხოვრება მოსწავლე-ახალგაზრდობის - წვენი ქვეყნის მომავლის სწავლა-განათლებასთანაა დაკავშირებული. პედაგოგი მშობლების ოჯახში დაბადებულმა საგარეოს I საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა, რომელიც 1985 წელს დაამთავრა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაციით. 1985-1987 და 1989-1994 წლებში მუშაობდა სოფელ ნინოწ...

მინდის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1991-1994 წლებში მას უკვე ამ სკოლის დირექტორის პოსტზე ვხვდებით. 1989-1994 წლებში პერიოდში იგი საგარეოს რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური და სასკოლო ინსპექტორია. 1995 წლიდან 2006 წლამდე ბ-ნი არჩილი განათლების განყოფილების გამგის მოადგილეა. 2006-2008 წწ - საგარეოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი სპეციალისტი, 2008-2009 წლებში კი ამ რესურს-ცენტრის უფროსია.

2009 წლიდან არჩილ ჯაბაძარი მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავრი სპეციალისტია განათლების დარგში. 2015 წლიდან 2017 წლის მაისამდე საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, 2017 წლის მაისიდან კი ამ სამსახურის უფროსია.

გავლილი აქვს სხვადასხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და მინიჭებული შესაბამისი სერტიფიკატები. ჰყავს მუშაობა და 1 შვილი. ბ-ნი არჩილთან საუბარი მისი სამსახურის მიერ მიმდინარე წელს ახალგაზრდულ საქმეთა კუთხით განხორციელებული ღონისძიებებით დაიწყო. როგორც მან აღნიშნა:

- განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ინიციატივით, მიმდინარე წლის 1 თებერვალს დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2016-2017 სასწავლო წლის ოქროს და ვერცხლის მედალოსნები (23 მედალოსანი მოსწავლე - 15 ოქრო, 8 ვერცხლი), რომელთაც გადაეცათ ფულადი ჯილდო თითოეულს 200 ლარის ოდენობით. (ღონისძიების ბიუჯეტი - 4600 ლარი).

21 მარტს, სამსახურის ინიციატივით დაუნის სინდრომით დაავადებულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ჭრელი წინდების აქცია - სლოგანით „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“. ჭრელი წინდების აქციაში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა და აქტიურმა ახალგაზრდებმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლიდან. ამასთანავე, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე 5 ადამიანს გადაეცა საჩუქრად ტკბილეულის კალათები. ღონისძიების ბიუჯეტი - 395 ლარით იყო გათვალისწინებული.

ამავე სამსახურის ინიციატივით, 9 აპრილისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, სოფელ პატარძელის საჯარო სკოლის „ნორ ისტორიკოსთა კლუბის“ აქტიური წევრები იმყოფებოდნენ თბილისის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში, დაათვალიერეს მუზეუმის ექსპონიცი და ისტორიულ ფაქტებს გაეცნენ.

სამსახური მიმდინარე წლის 23 აპრილს შეუერთდა „წიგნის ჩუქების დღეს“, რომელიც დადგინდა ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ, სამსახურის ინიციატივით, წიგნები გადაეცა 5 წარჩინებულ მოსწავლეს: ნინო ბუხარიაშვილს, ლალი გარსიაშვილს, თამარ დარისპანაშვილს, ნია დიდმელაშვილს და ჭიაბერ ჭიაბერაშვილს.

წვენი სამსახურის ინიციატივით, მიმდინარე წლის 3 მაისს, სოფელ შობლიანში ჩატარდა დასუფთავების აქცია, აქციაში მონაწილეობდნენ შობლიანის საჯარო სკოლის აქტიური მოსწავლეები (25 ახალგაზრდა), დასუფთავდა წმინდა თევდორეს სახელობის სალოცავის მიმდებარე ტერიტორია, ახალგაზრდები ამით მიენევიან მშობლიური კუთხის გაფრთხილებას, ყურადღებას მიაქცევენ სოფელში მიზანშეუწონე ადგილებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაკრებას.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ბიუჯეტიდან დაფინანსდა საგარეოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ომის ვეტერანთა შვილების - ორი ახალგაზრდის მონაწილეობა ახალგაზრდულ ბანაკში, უკრაინის ქ. ხერსონში. (ნინო ადუაშვილი, იოსებ ოკინაშვილი) ღონისძიების ბიუჯეტი დაფინანსდა 2021.14 ლარით (თვითმფრინავის ორმხრივი ბილეთი და სამოზაზურ დასვენება).

ეს ღონისძიებები განხორციელდა წლის დასაწყისიდან განვლილ 6 თვეში. იენისში კი გვექონდა ახალგაზრდული ბანაკი და ექსკურსია შშმ ბავშვებისათვის.

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ სამსახური მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდა მუნიციპალიტეტის ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის მათ მიერ სახელმწიფო ქართული ენის უკეთ შესწავლისა და ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში ინტეგრირების კუთხითაც...

- რა თქმა უნდა. 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში, მუნიციპალიტეტის ქართულენოვანი საჯარო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა მოსწავლეებმა და ახალგაზრდებმა. მათ შორის სოფ. დუზაგრამის ქართული ენის შესწავლის ცენტრის მოსწავლეები) განმხორციელებული: ა.ა.ი.პ საგარეოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება (დირექტორი: თამარ ჯაბაძარი), მხარდაჭერა: საგარეოს მუნიციპალიტეტის მერია;

განხორციელდა პროექტი „მე მგზავრი“. აღნიშნულ პროექტში ჩართულნი იყვნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები (აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მოსწავლეები). პროექტი ითვალისწინებდა საკუთარი კუთხის ისტორიის შესწავლას და პრეზენტაციას - რაც მოეწყო ა.ა.ი.პ საგარეოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანებისა და მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეშვეობით, ურთიერთმხარდაჭერით;

მაისის თვეში პროექტ „დამე მუზეუმში“ მუნიციპალიტეტის ქართული საჯარო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი აზერბაიჯანულენოვანი საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და ახალგაზრდებმა - ღონისძიების ინიციატორი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო იყო, და ერთობლივად განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა, ა.ა.ი.პ. საგარეოს კულტურის ობიექტების გაერთიანება (დირექტორი: ბესიკ ლვინაშვილი);

12 აპრილს აღინიშნა „დედა ენის“ დღე ქართული და აზერბაიჯანული (მათ შორის სოფ. დუზაგრამის ქართული ენის შემსწავლელი ცენტრის მოსწავლეები) სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით; ღონისძიების ორგანიზატორი: ა.ა.ი.პ საგარეოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება იყო (დირექტორი: თამარ ჯაბაძარი), მხარს საგარეოს მუნიციპალიტეტის მერია უჭერდა;

ეს იყო საინტერესო ღონისძიება, რომელიც სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლაში, 10 დან 17 აპრილის ჩათვლით ჩატარდა „ქართული ენის კვირეული: ყველა კლასმა ინდივიდუალურად განახორციელა სხვა და სხვა ღონისძიებები (ქართული სიმღერები, ღეჭვები, სპექტაკლები, მხატვრული კითხვა და ა.შ.); „გარეჯობის“ სახალხო დღესასწაულზე, მიმდინარე წლის 13 ივნისს, ქართულ სო-

ფლებთან ერთად, ეთნო-კუთხე წარმოადგინეს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული აზერბაიჯანულენოვანი სოფლების მოსახლეობამ და ახალგაზრდებმა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის „ღია სახალხო ფეხბურთის სკოლების“ ინიციატივით და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 1 ივნისს, ქ. საგარეოს ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა საჩვენებელი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდა 190 ნორჩი ფეხბურთელი მუნიციპალიტეტის სოფლებიდან და ქ. საგარეოსიდან, მათ შორის 30 მოზარდი ეთნიკური უმცირესობით დასახლებული სოფლებიდან. ღონისძიებაზე ბავშვთა ტრანსპორტირება უზრუნველყო ჩვენმა სამსახურმა.

20 იანვარს და შემდეგ 9 აპრილს, მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ებროწონაშვილმა, მოადგილეებმა და მერიის ხელმძღვანელმა პირებმა, აზერბაიჯანის ვიზიტის და სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან გვირგვინებით შეამკეს ორმულანლოში არსებული თბილისში 1989 წლის 9 აპრილს და ბაქის 1990 წლის 20 იანვარს ორი ქვეყნის თავისუფლებისთვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის მემორიალი;

მიმდინარე წლის 28 მაისს, სოფელ ორმულანლოში, მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის რელიგიურ დღესასწაულ „რამაზანთან“ და მის შემადგენელ დღესასწაულ ორჯუ-ბაირამთან (მარხვა) დაკავშირებით, გაიმართა სახალხო შეკრება და სახეიმო ვახშაში, რომელსაც ესწრებოდნენ კახეთის მხარის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი შიოშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსი გილაშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე შოთა კაკაბაძე, იურიდიული სამსახურის უფროსი კახაბერ მარგუბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მუფტი იასინ ალიევი, მოსახლეობა ოთხივე თემიდან, უხუცესები („აქსაკალები“) და სხვა საპატიო სტუმრები.

რაც შეეხება ეთნიკურად აზერბაიჯანელი პატარების განათლების კუთხით გაწეულ მუშაობას, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ეთნიკური უმცირესობებისათვის სოფ. დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და ლამბალოს 2 ალტერნატიული ჯგუფი. სოფ. დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში 35 აღსაზრდელია (მენეჯერი: საიდა ალიევა), ლამბალოს 1 ალტერნატიულ ჯგუფში (მენეჯერი: მაკა ებიტაშვილი) - 40 აღსაზრდელი, ლამბალოს 2 ალტერნატიულ ჯგუფში (მენეჯერი: ელვირა ალახვერდიევა) - 40 აღსაზრდელი. ალტერნატიულ ჯგუფებში აღსაზრდელი 4 საათის განმავლობაში მეცადინეთა და სასკოლო მზაობის პროგრამით და კვება არ ფინანსდება. სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობის მიზნით, სწავლება დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში და ლამბალოს ორივე ალტერნატიულ ჯგუფში მიმდინარეობს ქართულად.

სოფელ გომბორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი: თამარ ნეკრესელაშვილი) 14 აზერბაიჯანელი აღსაზრდელია, სოფელ ბადიაურის (მენეჯერი: ირმა ჩალათაშვილი) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში კი 8 ეთნიკური აზერბაიჯანელი აღსაზრდელი ირიცხება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები მუშაობენ უახლესი სასწავლო პროგრამებით და მეთოდური სახელმძღვანელოებით, რომლებიც მათ საგარეოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ, მიმდინარე წელს გადასცა.

სოფელ დუზაგრამში მუშაობს ქართული ენის შესწავლის ცენტრი (ადმინისტრატორი: ხეილ გასანოვი), რომელიც ეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას სახელმწიფო ენის შესწავლაში. 2019წ. იანვრიდან აქ 55 მსმენელი ესწრებოდა მეცადინეობებს (25 ქალი და 30 კაცი).

ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ სოფლებში 4 საჯარო სკოლაა: დუზაგრამის საჯარო სკოლა (დირექტორი: კიას აბუხაროვი) - 381 მოსწავლე, 22 მასწავლებელი; ორმულანლოს საჯარო სკოლა (დირექტორი: ვაგიფ ახმედოვი) - 1401 მოსწავლე, 82 მასწავლებელი; ლამბალოს საჯარო სკოლა (დირექტორი: დავით როსტომაშვილი) - 1122 მოსწავლე, 78 მასწავლებელი; მულანლოს საჯარო სკოლა (დირექტორი: სარხან ხუბანოვი) - 223 მოსწავლე, 20 მასწავლებელი.

- რა მუშაობა გასწია სამსახურმა მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით?
- სიამოვნებით შეგვიძლია მოგახსენოთ მიმდინარე წლის 6 თვეში ამ კუთხით ჩვენი სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ამ პერიოდში სამსახურს დაფინანსებული აქვს 22-ზე მეტი ადგილობრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტულ ღონისძიებაში მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობა. იანვრის თვეში „ნინოობის“ სახალხო დღესასწაულზე გამართული ქართული ჭიდაობისათვის პირვით ჭედილის შექმნა (500 ლარი), აიპ საგარეოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების გოგონა ძიუდოსტების ანტალიის ვეროპის თასზე მონაწილეობა (3900 ლარი), ანტალიის ვეროპის თასზე იაგო გულბანის დაფინანსება (1841 ლარი), ზვიად თვედორაშვილის ნაწილობრივი დაფინანსება ბელორუსში გამართულ საერთაშორისო ტურნირში ჭიდაობა სამბოში (1004 ლარი), სასკოლო ოლიმპიადის რეგიონულ ტურზე კალათბურთში მოსწავლეთა ტრანსპორტირება თელავში (220 ლარი), ჭედილას შექმნა „ყველიერის“ სახალხო დღესასწაულისათვის (500 ლარი), სპორტული ფორმების შექმნა სასკოლო ოლიმპიადის რეგიონულ ტურში მონაწილე გუნდებისათვის (1708 ლარი), ყვარელში სასკოლო ოლიმპიადის რეგიონულ ტურნირზე ფრენბურთში გოგონების გუნდის ტრანსპორტირება (200 ლარი). თელავში, მაგდის ჩოგბურთში სასკოლო ოლიმპიადის რეგიონულ ტურზე მოსწავლეთა ტრანსპორტირება (220 ლარი), ყვარელში სასკოლო ოლიმპიადის რეგიონულ ტურზე ფრენბურთში ტრანსპორტირება (210 ლარი), ტრანსპორტირება გურჯაანში სასკოლო ოლიმპიადის რეგიონულ ტურზე „მხიარული სტარტები“ ორი დღე (260ლ). თენგი ზირაქაშვილის დაფინანსება ჩხეთის ვეროპის თასზე ძიუდოში (1615 ლარი) პატარძელის რაგბის კლუბ „ფეხვების“ მორაგბეთა ტრანსპორტირება ქუთაისში ორი სატრანსპორტო საშუალება (1120 ლარი). თელავში მინი ფეხბურთის რეგიონულ ტურნირზე მოსწავლეთა ტრანსპორტირება (220 ლარი), „მხიარული სტარტების“ ნახევარფინალზე გურჯაანში ტრანსპორტირება ორ დღეს (260ლ). თინათინ რევაზიშვილის დაფინანსება ვეროპის პირველობაზე სამბოში (კვიპროსი - 1420ლ). „ჯუნიორის“ ფესტივალზე თბილისში ტრანსპორტირება (130ლ). ყვარელში „მსოფლიო რბენაზე“ მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება (250ლ), მკლავჭიდიში ვეროპის პირველობაზე საბერძნეთში ნიკა დიდმელაშვილის ნაწილობრივი დაფინანსება (2000ლ), პოლონეთში, ვეროპის თასზე ძიუდოში თენგი ზირაქაშვილის ნაწილობრივი დაფინანსება (1500 ლარი). კახეთის ქართული ჭიდაობის განვითარების ფონდში თანხის ჩარიცხვა (4000 ლარი). მსგავსი დაფინანსება და დახმარება ჩვენი სპორტსმენების მიმართ სამსახურის მხრიდან კვლავაც გაგრძელდება.

- რას გვეტყვიდით მუნიციპალიტეტში ძეგლთა დაცვის კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ?
- მუნიციპალიტეტში ჩვენი სამსახურის მიერ აღწერილია რამდენიმე კულტურის ძეგლი, რომელთაც აუცილებელი რეაბილიტაცია სჭირდებათ, რისთვისაც გამოყოფილია სათანადო თანხები, გამოცხადდა ტენდერი მათ რესტავრაციაზე და წლის ბოლომდე ეს სამუშაოები დასრულდება. ჩვენი სამსახური და მისი მუშაკები მუდამ მოწოდების სიმაღლეზე არიან და მომავალშიც ყველაფერს გააკეთებენ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობების პირნათლად შესრულებისათვის.

2018-19 წლების გენდერული თანასწორობის ანგარიში



წარმოგიდგინებთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018-19 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის (დამტკიცდა 31.08.2018წ. 60 განკარგულებით) 6 თვის

(ინვარი- ივნისი, 2019 წელი) შესრულების ანგარიშს:

მიზანი 1
საგარეჯოს მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია გენდერული თანასწორობის სამართლებრივი ჩარჩო და ორგანიზაციული სტრუქტურა.

ადგილობრივი ადმინისტრაციები და საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების მიმღები პირები მუშაობენ გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე, რომელიც დამტკიცდება 2019 წლის III კვარტალში - 15 ნოემბრამდე.

საგარეჯოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ გენდერული თანასწორობის საკითხებზე („სპექტრი“ ხელმძღვანელი სოფიო მანძულაშვილი-ხარებავა, „ქალები მომავლისათვის“, ხელმძღვანელი მაია ბეიტრიშვილი) „ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი XXI“, ხელმძღვანელი ანუკი მოსიაშვილი), CENN და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებულია 5 შეხვედრა.

განხილული საკითხები ეხებოდა:

- 1) ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მცირე მეწარმეებისთვის, ფინანსებისა და მარკეტინგის მიმართულებით.
 - 2) სახელმწიფო სერვისები და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ვალდებულებები ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით.
- პროექტებისა და ბიზნეს-გეგმების წერის ხელაწილების შესწავლას.
- 3) ქალის როლი მდგრად განვითარებაში.

4) ევროკავშირი და საქართველოს ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე - DEFTA

5) „პერსონალური ინფორმაციის დაცვა, როგორც სექსუალური და რეპროდუქციული უფლება“.

გადამზადებულნი არიან გენდერული საბჭოს წევრები საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად შემდეგ თემბატეებზე:

- 1) „ქალთა ან/და ოჯახში ძალადობის ფორმები და დაცვის მექანიზმები“
- 2) „ლიდერობა“
- 3) „გენდერული ბიუჯეტირება“
- 4) „ეფექტური კომუნიკაცია“
- 5) „თანამონაწილეობა“
- 6) „ლაგებმა“

თემბატეები მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ და „GIZ“-მა.

გადამზადებულია გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი თამარ ურდულაშვილი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად შემდეგ თემბატეებზე:

„ქალთა ან/და ოჯახში ძალადობის ფორმები და დაცვის მექანიზმები“

„ლიდერობა“

„გენდერული ბიუჯეტირება“

„ეფექტური კომუნიკაცია“

„თანამონაწილეობა“

„ლაგებმა“

თემბატეები მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ და „GIZ“-მა.

„ფინანსები არაფინანსისტებისთვის“

„ბიზნეს-გეგმების წერა“

„ფინანსების მოძიება“

„ტურიზმის ფოტოგრაფია“

„ექსპორტის მენეჯმენტი“

„სერვისის ბრენდინგი“

„ციფრული მედიის მენეჯმენტი“

„ბიუჯეტირება“

„ინოვაციების მართვა“

„სწორი ფინანსური გადაწყვეტილება“

„საჯარო გამოსვლა“

„ლაგებმა და ანალიზი“

ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის:

მერიის წარმომადგენლები

აიპ - ის ხელმძღვანელები, თანამშრომლები

სკოლის, ბაღის პედაგოგები

თემა: ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებული მექანიზმებისა და სერვისების შესახებ, ძალადობა და ბუღინგი ბავშვებში, გენდერული ასპექტები სწავლების მეთოდოლოგიაში (სკოლის, ბაღის პედაგოგები).

ტრენინგ კურსი მოამზადა : იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირმა

ტრენინგი : ლია მარტაშვილი

მიზანი 2

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანერგილია გენდერული თანასწორობის პრინციპები

შექმნილია პერიოდულად განახლებადი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირთა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროგრამების გენდერულ ჭრილში სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა, ასევე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შშმ პირთა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების რაოდენობა ასაკობრივ და გენდერულ ჭრილში.

ორგანიზებულია ერთი შეხვედრა შშმ პირთა მშობლებთან თემაზე : „შშმ პირთა უფლებები და სოციალური საწარმოს არსი“, რომელსაც უძღვევოდა დავით მოსიაშვილი, შპს „დემას“ დამფუძნებელი.

2020 წლის ბიუჯეტისთვის მზადდება ახალგაზრდობის, (მათ შორის ეთნიკური) საჭიროებების დადგენა და პრიორიტეტების ასახვა, ს.წ. მარტინიანი რომელშიც აქტიურად ჩართულია მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდა საქმეთა სამსახური და საინიციატივო ჯგუფი: „ხვალინდელი დღე“(სტუდენტები, მოსწავლეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, თემის წარმომადგენლები.) მოხდა შემოსული საჭიროებების და პრობლემების კატეგორიზაცია.

ერთი ფოკუს ჯგუფები ჩატარდება ა.წ. ოქტომბრის ბოლომდე, დაცული იქნება გენდერული ბალანსი. მომზადდება ანგარიში ახალგაზრდობის საჭიროებების შესახებ გენდერულ ჭრილში 2020 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ ორგანიზებულია საზოგადოებრივი ბანაკები, ფესტივალები და კულტურული ღონისძიებები,

რომელიც უკვე გენდერულადაა დაბალანსებული. ინფორმაციას ამ ღონისძიებების შესახებ ფლობენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და სურვილისამებრ მონაწილეობენ საგარეჯოს მერიის მიერ დაგეგმილ აქტივობებში.

მიზანი 3

გაზრდილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებულობა გენდერული თანასწორობის, ქალთა ან/და ოჯახში ძალადობის ფორმებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ.

გაზრდილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებულობა გენდერული თანასწორობის, ქალთა ან/და ოჯახში ძალადობის ფორმებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ.

გავრცელებულია საინფორმაციო ბროშურა ქალთა მიმართ ძალადობის თემატიკაზე: „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, „სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ.“

ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთით გენდერული თანასწორობის საქმიანობა პერიოდულად გაშუქებულია.

ჩატარებულია 4 შეხვედრა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან „ადრეულ ქორწინებაზე და მის პრევენციასზე“

ორგანიზებულია კინო ფილმების ჩვენებები და დისკუსია ნაადრევ ქორწინების, ქალთა მიმართ ძალადობის ფორმებზე. („ხმა ამოიღე“, „წრეზე“, „ლელა მანქანების მექანიკოსი“, „ღამის სენსი“, „დრაკონი“, „დამალული ფიგურები“).

შექმნილია საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის(ხელმძღვანელი ქეთევან ჭიაბერაშვილი) მიერ სამწუთიანი ფილმი „მეც შემიძლია“ ქალთა მიმართ ძალადობის თემატიკაზე.

ქალთა მიმართ ძალადობის თემატიკაზე მისივე სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის (ხელმძღვანელი ნუგზარ ჩალათაშვილი) წევრებისთვის ჩატარებულია ტრენინგები.

თანამშრომლები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი, „ქალთა ოთახის“ მენეჯერი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი.

რელიგიური უმცირესობის სასულიერო პირებისათვის დაიწყო ქართული სახელმწიფო ენის სწავლება

მიმდინარე წლის მაისში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასა და სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც მიზნად რელიგიური უმცირესობების სასულიერო პირებისათვის ქართული სახელმწიფო ენის სწავლებას ისახავს მიზნად. სამთავრობო პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო ენის მარნეულის, დმანისისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების ბენეფიციარები შეისწავლიან. მომზადდა სპეციალური სასწავლო რესურსი, რაც მოიცავს რელიგიური ღეჟისიკით გაჯერებულ სასწავლო პროგრამას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას.

სასულიერო პირებისათვის სახელმწიფო ენის სწავლების პირველი საჩვენებელი გაკვეთილი ჩატარდა მარნეულში, რომელსაც ჟვანიას სკოლის დირექტორი ქეთევან ჯაყელი და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყვაძე დაესწრნენ.

23 ივნისს კი მსგავსი სასწავლო ჯგუფი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ორმულანლოს რეგიონულ სასწავლო ცენტრშიც გაიხსნა. საგარეჯოში სასწავლო ჯგუფის გახსნას ესწრებოდნენ ზ. ჟვანიას სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორის მოადგილე პაატა

კლდიაშვილი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი ნინო ჭავჭავაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი იასინ ალიევი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი არჩილ ჯაბადარი, ადგილობრივი სასულიერო და სხვა დაინტერესებული პირები.

ბ. ლაბახიშვილი



ქართული ჭიდაობა

მუნიციპალიტეტში ქართული ჭიდაობის ტრადიციების აღდგენა დაიწყო



ამ დღი ეროვნული და მამულიშვილური საქმის წამოწყების და ინიციატორი გახლავთ ჩვენი კაპიტული ფალგანი, აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ თავაჯი, მსოფლიო და ევროპის სამეზობლო ჩემპიონი ჭიდაობის სპორტში უზანბი კუზანაშვილი.

ამ მეტად მნიშვნელოვანი წამოწყებისათვის მზაობა, მან ამ სამსახურში მოსვლის პირველივე დღეებიდან დაიწყო, როცა აღნიშნა, რომ ქართული ჭიდაობის ძველი ტრადიციების აღსადგენად, კაპიტულის ქართული ჭიდაობის არენაზე, მიმდინარე წლის ივლისის ბოლოდან, ყოველ კვირა დღეს, საღამოს 8 საათიდან ჩატარდება რაიონის ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ეს დროც დადგა და კაპიტულის საჭიდაო არენამ ქართულ ჭიდაობაში პირველ რაიონულ ასპარეზობებს უმასპინძლა.

28 ივლისს ჩატარდა პირველი ღია პირველობა, რასაც 4 აგვისტოს გამართული ანალოგიური შეჯიბრი მოჰყვა. შეჯიბრება 4 წონითი კატეგორიისა და აბსოლუტურ ფალგანობაში ჩატარდა. ასპარეზობა 23 კვ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა გახსნეს, სადაც პირველობა არავის დაუთმო სოფელ მხისგულის ჭიდაობის მწვრთნელ სოსო ჭიკაბის ვაჟმა **პრემიუმ ზიკაძემ**, რომელმაც, სხვათა შორის თავისი ჭიდაობით იენისის თემა, დავით გარეჯის სახალხო ზეიმზეც მოხილდა მუყურებელი.

ჩაიღურელი **ბიორბი პაპანიშვილი** ჩემპიონი გახდა 31 კვ წონით კატეგორიაში. ასპარეზობის ჩემპიონები ასევე გახდნენ: კაპიტული **ბიორბი პორაშვილი** (42კვ) და საგარეჯოელი **ბიორბი სულიაშვილი**.

საინტერესოდ წარმართა ასპარეზობა აბსოლუტურ ფალგანობაში, სადაც პირველობა არავის დაუთმო ახალგაზრდა პერსპექტიულმა მოჭიდავემ, ყანდაურის საჭიდაო წრის აღსაზრდელმა, ვერხვიანელმა **ლავა მაყულაშვილმა**. კაპიტუში გამართული რაიონის ღია პირველობის ფალგანობა გამარჯვების შემდეგ დაწესებული ჯილდო ჭედილა ზურგზე შეისვა და სიმბოლური წრე შემოატარა.

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ შესაბამისი სიგელებით დაჯილდოვდნენ ჩემპიონები და პრიზორები. მსგავსი შეჯიბრებები შემდეგშიც გაგრძელდება, ვიდრე ღია საჭიდაო არენაზე ჭიდაობისათვის ხელსაყრელი ამინდები იქნება.

ბიორბი პაპანიშვილი

ჭაღრაპი

საჭაღრაპო კლუბ „ბარეჯის“ პირველი ჩემპიონატი



საჭაღრაპო კლუბში ჩატარდა ამ რამდენიმე თვის წინ შექმნილი საჭაღრაპო კლუბ „ბარეჯის“ პირველი ჩემპიონატი 7 და 8 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა შორის, რომელშიც ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების საჭაღრაპო წრეებში გაერთიანებული ამ ასაკის თითქმის ყველა მოქმედი მოჭაღრაპე მონაწილეობდა. ამან დაძაბულობა შემოიტანა ასპარეზობას და დიდი ინტერესი გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ გოგონათა და ვაჟთა ტურნირები ორივე ასაკში გაერთიანდა, თუმცა საბოლოო შედეგები ცალ-ცალკე იქნა დაფიქსირებული.

7 წლამდელთა ჩემპიონატში 6.5-6.5 ქულეები დააკლეს **ნიკოლოზ ჩალათაშვილმა** და **გიორგი შიოშვილმა**. ამიტომ გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი ორი ბლიც პარტია, რომელშიც იმარჯვა **გიორგი შიოშვილმა** და გახდა ვაჟთა შორის ჩემპიონი. შესაბამისად მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი წილად ხვდა **ნიკოლოზ ჩალათაშვილს**. მესამე ადგილზე საერთო ჩათვლაში 4.5 ქულით გავიდა **ნიკოლოზ აბულაშვილი**, ხოლო ვაჟებიდან მესამე იყო **ნიკოლოზ ოზგეძლავაშვილი** 4 ქულით, მასვე გადაეცა ბრინჯაოს მედალი. სამაგიეროდ **ნიკოლოზ აბულაშვილს** (ყველაზე ხუთწლოვანი მოჭაღრაპის მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე) გადაეცა ოქროს მედალი გოგონათა შორის გამარჯვებისათვის. ვერცხლის მედალი ერგო **ნიკოლოზ აბულაშვილს** (მწვრთნელი ელენე ფარეშოვილი).

1-2 და 3 წლის კი ჩატარდა 8 წლამდელთა შორის ჩემპიონატი, რომელშიც გარდა ზემოაღნიშნული მოჭაღრაპეებისა, კიდევ რამდენიმე 8 წლის რაიონის უძლიერესი მოჭაღრაპე დაემატა.

ვაჟთა შორის 9 შესაძლებლობიდან 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა **საბრტე შარტაძე**, მეორე ადგილზე 6.5 ქულით გავიდა **გიორგი შიოშვილი** (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე), ხოლო მესამეზე – 4 ქულით – **მათე კობახიძე** (მწვრთნელი ელენე ფარეშოვილი).

საინტერესოდ წარმართა ასპარეზობა გოგონათა შორის, სადაც გამარჯვების უმთავრეს ფავორიტად მოიაზრებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონი 8 წლამდელ გოგონათა შორის მარიამ აგულაშვილი (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე). მან პირველივე დღეს დაამარცხა ძირითადი მეტოქეები – ანა ბუზარიაშვილი და თეკლა ფეიქრიშვილი (მწვრთნელი ელენე ფარეშოვილი), მაგრამ მეხუთე ტურში მოულოდნელად დამარცხდა თავის უმცროს დასთან **ნიკოლოზ აბულაშვილი**. აღსანიშნავია, რომ ნინი აგულაშვილმა გარდა მარიამისა დაამარცხა ვაჟთა შორის მეორეადგილოსანი შოი შიოშვილიც და 6 ქულით მიუწვდომელი გახდა მეტოქეებისათვის. მარტალია **მარიამ აბულაშვილმა** 6 ქულა მოაგროვა, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში გამარჯვების წყალობით **ჩემპიონად ნინი გამოცხადდა**. მასვე გადაეცა ოქროს მედალი. შესაბამისად **მეორე ადგილზე მარიამ აგულაშვილი** გავიდა. **მესამე** ადგილი კი **ანა ბუზარიაშვილი** ერგო (5.5 ქულა).

გამარჯვებულებს მედლები და სიგელები აიპ საგარეჯოს სპორტგაერთიანების დირექტორის მოადგილემ **ზაზა ლაშვიტაშვილმა** და საჭაღრაპო კლუბ „ბარეჯის“ თავმჯდომარემ **ირაკლი ძვალაძემ** გადასცეს.

ფეხბურთი

დიდი მიზნის მისაღწევად

უტემუნ ბარეჯელი ფეხბურთელები

როგორც ცნობილია, საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია და საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია ქართული ფეხბურთის განვითარების ფუნდის მხარდაჭერით საქართველოს მასშტაბით ატარებს მოყვარულთა თასის გათამაშებას. მოყვარულთა თასის ტურნირი ორ ეტაპად ტარდება. პირველი ეტაპი რეგიონული ტურნირი, რომელიც გამარჯვებული პირველი ოთხი გუნდი მონაწილეობას იღებს საქართველოს მოყვარულთა თასის გათამაშებაში. სადღესოდ მოყვარულთა ლიგა საქართველოს მასშტაბით 400-მდე გუნდს და 10000-ზე მეტ ფეხბურთელს აერთიანებს. მათ შორის არის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოყვარულთა საფეხბურთო გუნდი „სამი ფარის კომპანია“, რომელიც უკვე მეორე წელია მონაწილეობს აღნიშნულ ტურნირში და ხელშესახები წარმატებები გააჩნია პირველი და მეორე ეტაპის თამაშებში. გუნდის ხელმძღვანელები და დამატარებლები არიან საგარეჯოში იურიდიული ფირმა შპს „სამი ფარის კომპანია“ დამატარებლები ძეგვი – პასაპარ და შალვა ღვთისამონაშვილი.



სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი „სამი ფარის კომპანია“ შეიქმნა 2018 წელს – მითხრეს იურიდიულ ფირმაში ტერმინად მყოფს ძეგვი – ჩვენი გუნდის მთავარი „ხობლი“ და მიღწევაც ის გახლავთ, რომ მილიანად დაკომპლექტებულია მხოლოდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფეხბურთელებით, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ აქვთ სამსახურები და საკმაოდ რთულ პირობებშიც უწევთ მოღვაწეობა, მაინც არ კარგავენ ფეხბურთის სიყვარულს და პოულობენ დროს გუნდში სათამაშოდ. ერთი სიტყვით, თამაზად შეიძლება ითქვას, რომ საგარეჯოს ჰყავს ასპროცენტული საკუთარი გუნდი. ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობისა და რა თქმა უნდა, მთამაშეების საერთო მიზანია, საგარეჯოს ჰყავდეს საფეხბურთო გუნდი, თუნდაც სამოყვარულო, რომლის მთამაშეებიც ადგილობრივები იქნებიან.

როგორც შეეიტყვეთ, თქვენს გუნდში თამაშზე უარით გავისტუმრებთ რამდენიმე ძლიერი თბილისელი ფეხბურთელი...

კი, მართალია. მათი არმიდებით დავზარალებით საქართველოს პირველობის მერვედფინალურ შეჯიბრებაში, მაგრამ ჩვენ ბოლომდე ერთგული ვრჩებით ჩვენი ძირითადი პრინციპის – და გუნდში არ ავიყვანო სხვა რეგიონის მოთამაშეებს. გვირდა ხალხს დაეინახოთ, რომ საგარეჯოელებმაც ვიცით ფეხბურთის თამაში.

სადღესოდ ვინ თამაშობენ „სამი ფარის კომპანიაში“ და ვინ არის გუნდის მთავარი მწვრთნელი? – ჩვენი გუნდის ფეხბურთელები არიან: ზურა ქართლელიშვილი, ავთო ნაცვლიშვილი, თორნიკე ვოცხვერაშვილი, გიორგი მამისაშვილი, ლერი და თემო ბარისაშვილები, ზურა სამუნაშვილი, არჩილ ბუზარიაშვილი (მეკარე), აკაკი თვლიაშვილი, გიორგი როსტიაშვილი, გიორგი ესაიაშვილი, ალექსანდრე მომონტევი, კახაბერ დვითისავერთაშვილი, ლუკა გორგილაძე, დათო ბეჟიტაშვილი, თემურ ჯინჯიხაძე, თემო ხაჭვანი, ოთარ დევედარიანი, ხენია გვიდანი, რეზო თარიმანიშვილი, ზურაბ მარგოშვილი, ოთარ თვლიაშვილი, უჩა შინდელაშვილი, კახა ნორკალიშვილი. გუნდის პირველი მწვრთნელი იყო რამაზ ხერბერელაშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც „სამი ფარის კომპანიაში“ კახეთის რეგიონულ ლიგაზე დაიკავა III ადგილი და გავიდა მოყვარულთა თასის ფინალურ ეტაპზე, სადაც მერვედფინალში

დაემარცხნით მომავალ ჩემპიონთან – „უქიმერ-ოიონთან“. ამჟამად გუნდის მწვრთნელია ოთარ დევედარიანი. ესაა დაბაშიანი, რომელმაც მიუღი ცხოვრება ფეხბურთის მიუძღვნა. ჯერ კიდევ მეხუთე კლასიდან დაიწყო ფეხბურთის თამაში და დღეს უკვე წარმატებული მწვრთნელის რანგში აგრძელებს საფეხბურთო საქმიანობას.

კახეთის რეგიონული ეტაპის 20 ივლისის მატჩში, რომელიც საგარეჯოს სტადიონზე გაიმართა „სამი ფარის კომპანია“ გამანადგურებელი ანგარიშით – 6:1 დაამარცხა მოწინააღმდეგე – გურჯაანის „უნივერსალი“. როგორია გუნდის წლევანდელი საერთო შედეგები კახეთის რეგიონულ ლიგაზე? – წლევანდელი შედეგებით ჩვენი გუნდი კახეთის რეგიონულ ლიგის გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა. ჩატარებული 4 თამაშიდან (სამი მოგება, ერთი ფრე) გვაქვს 10 ქულა. გვყავს ბომბარდირიც – თემურ ხაჭვანი. დარჩენილია კიდევ 14 მატჩი, რომელთა დასრულების შემდეგ, წარმატების შემთხვევაში გუნდი გადავა საქართველოს თასის გათამაშების ეტაპზე. 2019 წლის მოყვარულთა თასის გამარჯვებული კი 2020 წელს მონაწილეობას მიიღებს **UEFA REGIONS CUP**-ის ტურნირში.

ვინ უჭერს მხარს ფინანსურად „სამი ფარის კომპანიაში“ ფეხბურთელებს? – გუნდის ფინანსურ და საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებს შპს „სამი ფარის კომპანია“. თუმცა ფინანსები საკმარისი არ არის ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისათვის ხელფასების გადასახდელად. ასევე, გუნდის მხარდაჭერია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობა და მისი შესაბამისი სამსახური, რომელიც გუნდს გასვლითი თამაშების დროს უზრუნველყოფს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებით.

გურჯაანელების კარში გატანილი პირველი გოლი ფიქრევერთაშვილი აღინიშნა. ეს ჩვეულებრივად სინარჯლის გამომხატველი იყო, თუ კიდევ რაიმე დატვირთვის შემცველი აქტივ? – გამარჯვებასთან ერთად „სამი ფარის კომპანიაში“ ხელმძღვანელობისა და ფეხბურთელების ყველაზე ყველაზე დიდი მიზანი და ოცნება, ფეხბურთის გარეჯელი გულშემატკივრებისათვის ფეხბურთის თამაშით სიახლოვისა და ყოველდღიურობიდან განტვირთვის მინიჭებაა. გვირდა გვაქვს უფრო მეტი გულშემატკივარი, რადგან ეს ყველაზე დიდი ჯილდოა ფეხბურთელებისათვის. ჩვენ გვირდა ყოველი ჩვენი მატჩი სასიხარულო და სიამოვნების მომტანი იყო ჩვენი მაყურებლისათვის, ემაყებოდეთ, რომ ჰყავთ ადგილობრივი მოთამაშეებით დაკომპლექტებული

გუნდი. მივისწრაფით, რომ თითოეული მატჩი ატარდეს ზეიმის ხასიათს, სადაც გართობისა და დასვენების, ასევე ახალი სოციალური კავშირების დამყარების საშუალება იქნება. ეს ფიქრევერთაშვილი ამ მიზნით მოეწყო. ენახოთ, თუ ფინანსური მხარე საშუალებას მოგვცემს, ამ მიზნის მისაღწევად გვირდა კიდევ ბევრი სიახლის განხორციელება.

– თქვენ საუბარში ახსენეთ, რომ კიდევ დარჩენილია 14 ტური, ვისთან გაქვთ შემდეგი შეხვედრა ჩანიშნული? – ესაა გავლით მატჩი თელავის „ლოპოტასთან“. მარშან ფეხბურთელების სიმცირის გამო (სამსახურიდან ვერ გათავისუფლდნენ) ჩვენმა გუნდმა მასთან შეხვედრა წააგო. ამით გათამაშებული ისინი გულიანად ჩამოვიდნენ საგარეჯოს სტადიონზე, სადაც დავამარცხეთ სამი ბურთის სხვაობით – 4:1 და ამით განაწყნებულები გაუშვიტე. ენახოთ, იმედი გვაქვს, რომ ამ მატჩს მოვიგებთ.

P.S. წერილი უკვე მომზადებული იყო, როცა შპს „სამი ფარის კომპანია“ გვეცნობეს, რომ მათმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:2 დაამარცხეს მეტოქე „ლოპოტა“.

კვლავ ღიმილის პოზიციასა

საბარეჯოს მოყვარულთა საფეხბურთო გუნდი „სამი ფარის კომპანია“ კახეთის მოყვარულთა რეგიონული ლიგის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია, რაც მათ არაერთხელ დაუმტკიცებიათ, როგორც საკუთარ მოედანზე თამაშის დროს, ისე გასვლით მატჩებში. თავიანთი წარმატებული თამაშით ისინი ამ გათამაშების ცხრილის სათავეში არიან და ყოველი ჩატარებული მატჩის შემდეგ უფრო და უფრო იმტკიცებენ ლიდერის პოზიციას. გასვლით თამაშში თელავის „ლოპოტას“ დამარცხების შემდეგ, მათ საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე მორიგი შეხვედრა ჰქონდათ ყვარლის სამოყვარულო ფეხბურთის გუნდს „გავახთან“, რომელიც დიდი ანგარიშით 4:1 დაამარცხეს. ბურთები მეტოქეთა კარში გაიტანეს „სამი ფარის კომპანიაში“ ბომბარდირმა თემო ხაჭვანმა (2 გოლი) და ამდენივე გოლი დავით ბეჟიტაშვილმა. სულ ჩატარებული ექვსი თამაშისა და „სამი ფარის კომპანია“ (ხუთი მოგება და ერთი ფრე) 16 ქულით კახეთის სამოყვარულო ფეხბურთის რეგიონული ლიგის ერთპიროვნული ლიდერია და 4.5 ქულით წინ უსწრებს მომდევნო ადგილებზე მყოფ ყვარლის „გავახსა“ და ჰულისციხის გუნდებს.

წარმატებით ვუსურვოთ გარეჯელ ფეხბურთელებს მომავალში.

გამარჯვებამ ამაჰ პაპია!

გარეჯელთა და ყვარელთა მატჩის პირველი ტიპია. გარეჯელი „ძიულოს პაპის“ ვაჟი კახა მარიდაშვილი სტადიონის ტრიბუნებიდან კბებზე ამოდის, ეთიხებინა: – „ჯერ ხომ ახლა დაიწყო თამაში, მოგწინა ვურებო?! – მესქარება, ერთი ხუთ წუთს კიდევ მოვიცდო, იქნებ ბურთი გაიტანონ და მერე წავალ...“ ორ წუთში მეტოქეთა კარი გარეჯელთა პირველმა გოლმა შეარხია.

კახას წასვლის შემდეგ სტადიონს თავად გამამისი – ბიტიკო მარიდაშვილი „ეწვია“. ანგარიში იტოხა. 1:0-ს ვიგებთ, შენი ბიტიკო იყო აქ და რომ მიდიოდა მამის გაიტანეს, კარგი ფეხი ჰქონია, ესლა რა იქნება, ვინ იცის!!!

მოიცათ, იქნებ ჩემმა ფეხმაც გასჭრას. ხუთ წუთში გარეჯელებმა დამაზი გოლით მეორედ შეარხეს „გავახელთა“ კარის ბადე. მართლა კარგი ფეხი ჰქონიათ მამა-შვილს, იხალისეს ფეხბურთის გარეჯელმა გულშემატკივრებმა.

ბიტიკო მარიდაშვილი

გაღლობა

მანაში ერთ-ერთი ძირძველი სოფელია თავისი ლამაზი ქუჩებითა და დასახლებებით. სწორედ ასეთი უბანია ე.წ. „ტურის უბანი“, რომელიც ყველაზე ლამაზ ხედთანაა შესამდგომი – მას პირდაპირ მანაის ციხე დაჰყურებს, გვერდს კი ე.წ. „მანაის მწვენი“ ხერხები უმშვენებს. 80-იანი წლების შემდეგ ამ უბანს ასფალტიანი გზა აღარ ჰქონია – ადგილ-ადგილ დაზიანებული ყველა სახის ტრანსპორტსა და ფეხით მოსიარულეს უშლიდა ხელს. ახლა ჩვენი **მუნიციპალიტეტის მერის ბიორბი ერბოფონაშვილის**, მერის შესაბამისი სამსახურის, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ოთარ ჩაღატაიშვილის**, **სოფლის მართვის დეპარტამენტის ნიკო ბიუაშვილის**, **პარლამენტარ ორმან მურიაშვილის**, **მერის წარმომადგენლის სოფელში ალიკა სტეფანოშვილის** ძალისხმევითა და მონაწილეობით აგვისტოდან „ტურისუბნების“ მათი დაპირებული და დღეს ჩვენს ქუჩას ასფალტიანი გზა აქვს. მადლობა მათ, წარმატებები ყოველდღიურ საქმიანობაში, კიდევ მრავალი სასიკეთო საქმე ეკეთებინათ.

სოფ. მანაგი პატივისცემით „ტურის უბნის“

გილოცვა



დაბადების დღეს გულ-ცაფხვით ჩვენი გახეთის აქტიურ მკითხველსა და კორესპონდენტს **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს, სოფლის მეურნეობის აგროინჟინერიის დოქტორს, საქართველოს**

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კოორდინატორს, საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის მრჩეველს ბ-ნ ნიკო ჯამახიშვილს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში, ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

ბაზემ „გარეჯის მაცნეს“ რედაქციის

დაბადების დღეს გულ-ცაფხვით ჩვენს ბუღალტერს **ნანა მურგოვანიძეს.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს თავის მარიამთან ერთად.

ბაზემ „გარეჯის მაცნეს“ რედაქციის



დაბადების დღეს გულ-ცაფხვით ჩვენს სათნო, გულის ხმის, თბილ და სიკეთით სავსე მეზობელს, მუდამ სხეულებზე მზრუნველსა და ერთგულ გულშემატკივარს, ჩვენს **ზაირა შუღაიშვილს.**

7 ათეული წელზე მეტია ამშვენებს ჩვენს პატარა ქალაქს თავისი ღიმილითა და სილამაზით. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი სამეზობლოსა და სამეგობროს საიმედოდ.

მეზობლები, საგარეჯო

ბასში წლის დაპირებას არც ახლა „ულალატა“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობამ, კვლავაც აქტიურად დაუჭირა მხარი და ფესტივალმა „ზაფხულის გარეჯულმა საღამომმა“ კვლავ შემოსნა კარი საგარეჯოს სკვერში აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების“ (დირექტორი ბ. ლვინაშვილი) და ხელოვნების სკოლა „მირელა“-ს (დირექტორი მ. ურდულაშვილი) ერთობლივი ორგანიზებით.

ფესტივალის 22 ივლისს გაიხსნა, რომელსაც ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი იულიუს ცაი სტუმრობდა. სტუმარს კახელებისთვის დამახასიათებელი მასპინძლობით შეხვდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს პასუხისმგებელი პირები. თავდაპირველად მათ ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე, სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

სტუმარს საგარეჯოელების საოჯახო მეურნეობების მიერ წარმოებული ღვინოები დააგემოვნებინეს. აქ წარმოდგენილი იყო „ღვინაშვილების“, „ირაკლი კოჭლამაშაშვილის“, „შატო კნიახის“ საოჯახო მარნების მიერ წარმოებული ღვინოები.

ფესტივალის პირველ დღეს მაყურებელთა წინაშე წარსდგა ხელოვნების სკოლა, ასევე „მირელა“-ს მოსწავლეები, ფოლკლორული ანსამბლი „ბერიკაცები“. ფესტივალში მონაწილეობდა საცელევიზიო



კულტურა

„ზაფხულის გარეჯული საღამოები“



ახალი ლექსი ბავითავისრთ!

გავითავისოთ გარეჯის ქედი – გამოქარული, ისევე მზიური, გავითავისოთ ძეგლების წყება – ქებათა წრეები – ისტორიული. მრავალწელიანი, დაჯანგებული, მლაშე – უსმელი, ზე-მიითური. დარტყანი, თლილი იდუმალებით, ელივიური-დელივიური, პონტოური და დეპრესიული. გავითავისოთ გარეჯის მიწა – ღვთის ბოძებული, ესრეთ ღვთიური. იალაღის მთა, გზა ქარაგნების, დიოქეს ირემს უშრება ყელი. მთა – ნაომაღი, მთა – ნატახტარი, ჩინიჭური და თეთრსენაკები. ნათლისმცემელი და გოლგოთები, ბერთუბნის დედე, ბერთ-სათრეველი. ხევი და დედე იქ უშმაკისა, წყარო გველისა... საღამოს ველი. ზევი – დოდოს რქა, და მადახანა, ქოლაგირი და ქვაბები – ბევი... შავი მინდორი და გორაც შავი, მთები შავები... მთა ამართული. მთა ალგეთისა, მთები რკინისა – მთა დემურდალი... და კლდე ყვითელი.

ნაგები ფართო, ტბა-ხევი გრძელი, ქედი არტაშნის, წყალი არტაშნის, ალდგომა, ნატერა, გორა, ნაომა, ხევი ტვილელის და ნატერის ხევი. მთა ამართული, სვეტიცხოველი, მარჯვნივ სიონი, ღვთაების სერი, ბროწლიანები და ნუშნარები, თაფლისა დედე და რძისა – ქვები. ***

პირუკუდმართ მთას მწარე წყალი ვსვი, შავ მინდორს გაველ პირუბანელი, ცხრა წყარო შევსვი, იალაღს გაველ, მთას ლედე-წყალი ვსვი – დაულეველი. ...დავჯექვ ვიტრე, ცრემლით დავალტვე უდაბნოს ქვები – დეპრესიული, გარეჯის მიწა – გამოქარული, ქვები ფერადი, ისტორიული, ბერთუბნის დედე, ბერების სერი, სენიორია – ბერთ სათრეველი.

ლიანა ქართლელიშვილი, აიპ ისტორიულ-რელიგიური წმ. მამა დავით გარეჯელის საზოგადოება – „საქართველოს ქრისტიანთა კავშირის“ თავმჯდომარე.



და საერთაშორისო კონკურსების წარმატებული მონაწილე მარი დარბაისელი.

ფესტივალის მონაწილეებმა დაათვალიერეს საგარეჯოელი მხატვრების ნინო ჯანგულაშვილის, თამარ იორამაშვილის, თეა ბუზარიაშვილის ნახატები, მარიკა ნათიძის ხელნაკეთი ნივთები, ასევე ლიქოკვლების მიერ შექმნილი თექის ნივთები.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ ქართველი კლასიკოსების წიგნები. სკვერის მწვენი მოლზე თავს იწონებდნენ თოჯინების თეატრის მეგობრების მარინა შიოშვილის ხელით შექმნილი უღამაზესი თოჯინები. ამ დღეს თავისებურ ელფერს სძენდნენ საგარეჯოს ბავშვთა და მოზარდთა თეატრის პატარა მსახიობები.

მეორე დღეს კი, სკვერში პოეზიის საღამო გაიმართა, სადაც ქართველმა პოეტებმა ტარიელ ხარხელაურმა, თემურ ჩალაბაშვილმა, ზაად ბოტკოველმა, ივანე ჩხიკვაძემ და დათო არახამიამ თავიანთი შემოქმედება გააცნეს მაყურებელს. მათთან ერთად კი ლექსები საგარეჯოელმა პოეტებმაც წაიკითხეს. დასასრულ აჩვენეს საგარეჯოელი კინორეჟისორის ირაკლი კოჭლამაშაშვილის ფილმი „დიდი პაპა“.

ფესტივალის მესამე დღე ბავშვებს დაეთმო. თოჯინების თეატრმა სპექტაკლი „კეთილი მელაკული“ წარმოადგინა. ფერების მეჯლისმა გაახალისა პატარები. საბავშვო ლექსები წაიკითხეს პატარებმა, იხალისეს და მხატვრების თამარ იორამაშვილის, ნინო ჯანგულაშვილის და თეა ბუზარიაშვილის დახმარებით პეიზაჟებიც დახატეს.

რედაქტორი:

თინათინ ილაური



„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გახეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტიფიკაციო კოდი 438107460. ტირაჟი – 300 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გახეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com